

ყაზახეთის მიერ ACCC/A/2020/2 რჩევის მოთხოვნასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

კომიტეტის მიერ მიღებულია 2020 წლის 1 ივლისს¹

1. შესავალი

1. 2020 წლის 14 მაისს ყაზახეთმა შესაბამისობის კომიტეტს მიმართა რჩევისთვის, დაეზუსტებინათ, იქნებოდა თუ არა კონვენციის მოთხოვნებთან თანხვედრაში COVID-19-ის პანდემიის დროს საჯარო მოსმენების ვიდეოკონფერენციების მეშვეობით ჩატარება.

2. 2020 წლის 25 მაისის ელექტრონული წერილით, სამდივნომ დაინტერესებულ მხარეს აცნობა, რომ კომიტეტის თავმჯდომარემ დაადასტურა კომიტეტის მზაობა რჩევის მიცემის თაობაზე. კომიტეტმა მადლიერება გამოხატა დაინტერესებული მხარის მიმართ, ამ მნიშვნელოვანი და დროული საკითხის შესახებ კომიტეტთან პროაქტიული მიმართვის გამო. გაგზავნილ ელექტრონულ წერილში, სამდივნომ ასევე განმარტა კომიტეტის პროცედურა და რჩევის მომზადების სავარაუდო ვადა.

3. 2020 წლის 26 მაისის ელექტრონული წერილით, დაინტერესებულმა მხარემ დაადასტურა კომიტეტის მიერ შემოთავაზებული პროცედურის მიმღებლობა.

4. 2020 წლის 27 მაისს კომიტეტმა წერილობით მიმართა ევროპული ეკოფორუმის შესაბამისობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს და სთხოვა მათ, ეცნობებინათ ევროპული ეკოფორუმის ქსელისთვის, მათ შორის, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციებისა (NGO) და დაინტერესებული მხარის საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, კომენტარების 3 ივნისამდე წარდგენის შესაძლებლობის შესახებ.

5. 2020 წლის 2 ივნისს ცალ-ცალკე იქნა მიღებული სოციალურ-ეკოლოგიური ფონდის და ყაზახეთის ეკოფორუმის კომენტარები.

6. 2020 წლის 3 ივნისს ცალ-ცალკე იქნა მიღებული საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ცენტრის (Center for International Environmental Law, CIEL) და ირლანდიის გარემოსდაცვითი ქსელის გარემოსდაცვითი იურიდიული სამსახურის (Environmental Law Office of the Irish Environmental Network) კომენტარები.

7. 2020 წლის 4 ივნისს ცალ-ცალკე იქნა მიღებული არასამთავრობო ორგანიზაცია Earthjustice-ისა და ევროპის გარემოსდაცვითი ბიუროს (European Environmental Bureau) კომენტარები. ასევე, იმავე დღეს დამატებითი ინფორმაცია წარადგინა ირლანდიის გარემოსდაცვითი ქსელის გარემოსდაცვითმა იურიდიულმა სამსახურმა.

8. მიღებული ინფორმაციის გათვალისწინების შემდეგ, კომიტეტმა მოამზადა რჩევის პროექტი და 2020 წლის 19 ივნისს შეათანხმა გადაწყვეტილების ელექტრონულად მიღების პროცედურის საშუალებით. 1/7 გადაწყვეტილების დანართის 34-ე პუნქტის შესაბამისად, რჩევის პროექტი, კომენტარის წარდგენის მიზნით, იმავე დღეს გაეგზავნათ დაინტერესებულ მხარესა და დამკვირვებლებს. კომენტარების წარდგენის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 26 ივნისამდე.

¹ გარკვეული დროის შემდეგ აღნიშნული ტექსტი გამოიცემა როგორც გაეროს ოფიციალური დოკუმენტი. მანამდე მასში შეიძლება შევიდეს სარედაქციო ან მცირედი ცვლილებები (რომლებსაც გავლენა არ ექნება შინაარსზე).

9. რჩევის პროექტზე კომენტარები მიღებულ იქნა 2020 წლის 20 ივნისს დამკვირვებლისაგან - რესურსებისა და ანალიზის ცენტრ „საზოგადოება და გარემოსგან“ (Resource & Analysis Center “Society and Environment”) და 2020 წლის 29 ივნისს, ცალ-ცალკე, საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ცენტრისა (CIEL) და ირლანდიის გარემოსდაცვითი ქსელის გარემოსდაცვითი იურიდიული სამსახურისგან.

10. 2020 წლის 30 ივნისს დაინტერესებულმა მხარემ მადლობა გადაუხადა კომიტეტს მხარდაჭერისთვის და დაადასტურა, რომ რჩევის პროექტზე კომენტარები არ აქვს.

11. აღნიშნულის შემდეგ, მიღებული კომენტარების გათვალისწინებით, კომიტეტმა დაასრულა რჩევაზე მუშაობა და 2020 წლის 1 ივლისს მიიღო იგი გადაწყვეტილების ელექტრონულად მიღების პროცედურის საშუალებით. კომიტეტმა სთხოვა სამდივნოს, რჩევა გაეგზავნათ დაინტერესებული მხარისა და დამკვირვებლებისთვის.

2. დაინტერესებული მხარის მიერ მოთხოვნილი რჩევისა და დახმარების შეჯამება

12. 2020 წლის 14 მაისის მიმართვაში რჩევის თხოვნის შესახებ, დაინტერესებულმა მხარემ აღნიშნა, რომ COVID-19-ის პანდემიის დროს მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, 2020 წლის 15 მარტიდან მთელ ქვეყანაში გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა. „ლოკდაუნის“ დაწესების გამო, აკრძალულია ხალხის მასობრივი თავშეყრის, ანუ შეხვედრებისა და შეკრების ორგანიზება. დაინტერესებული მხარე სთხოვს კომიტეტს, „გაუზიაროს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ წყვეტენ სხვა ქვეყნები საჯარო მოსმენების ორგანიზების პრობლემას, ასევე განმარტოს, ეწინააღმდეგება თუ არა კონვენციის დებულებებს საგანგებო მდგომარეობის დროს საჯარო მოსმენების ვიდეოკონფერენციის სახით ჩატარება“.

3. კომიტეტის მიერ განხილვა და შეფასება

13. კომიტეტი მიესალმება დაინტერესებული მხარის პროაქტიულ მიდგომას რჩევების მოთხოვნასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს COVID-19-ის პანდემიის დროს კონვენციის მოთხოვნების შესრულება გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობასთან დაკავშირებით.

14. მოცემულ რჩევას კომიტეტი წარუდგენს დაინტერესებულ მხარეს 1/7 გადაწყვეტილების დანართის მე-14, 36(ა) და 37(ა) პუნქტების შესაბამისად.

15. კომიტეტის ამოსავალი წერტილი არის კონვენციის პირველი მუხლით განსაზღვრული მიზანი: „ამ კონვენციის დებულების შესაბამისად, ყველა მხარე იძლევა **გარანტიას...** გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ“².

16. ეს ნიშნავს, რომ ისეთი კრიზისის შემთხვევაშიც კი, როგორც COVID-19-ის პანდემია, კონვენციაში მოცემული სავალდებულო უფლებები არ შეიძლება შემცირდეს ან შეიზღუდოს. მეტიც, თუ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შეუძლებელია ჩვეული მეთოდების გამოყენება, მაშინ ნებისმიერი ალტერნატიული საშუალება უნდა აკმაყოფილებდეს კონვენციის მოთხოვნებს.

² დამატებულია აქცენტი.

17. კონვენცია არ გამოიციხება მის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების შესახებ საჯარო მოსმენების ჩატარებას ვიდეოკონფერენციის სახით ან სხვა ვირტუალური საშუალებებით, იმ პირობით, რომ პრაქტიკაში უზრუნველყოფილი იქნება კონვენციის ყველა მოთხოვნის დაცვა.

18. ამ მიზნით, წინამდებარე რჩევა ხაზს უსვამს კონვენციის რიგ მოთხოვნებს, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს COVID-19-ის პანდემიის დროს კონვენციით გათვალისწინებული საჯარო მოსმენების ჩატარების სრული შესაბამისობა კონვენციასთან. რჩევა პირველ რიგში ეხება რამდენიმე ზოგად ვალდებულებას კონვენციით გათვალისწინებული საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებთან დაკავშირებით COVID-19-ის პანდემიის დროს, ხოლო შემდეგ გამოკვეთილია კიდევ უფრო კონკრეტული ვალდებულებები.

19. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მართალია დაინტერესებულმა მხარემ რჩევა ითხოვა მოსმენების „ვიდეოკონფერენციის საშუალებით“ ჩატარების თაობაზე, თუმცა მოცემული რჩევა თანაბრად ვრცელდება საჯარო მოსმენების ვიდეოკონფერენციით, ინტერნეტით ან სხვა ვირტუალური საშუალებებით ჩატარებაზე. შესაბამისად, ამ რჩევაში გამოყენებული ტერმინები „ვირტუალური მოსმენა“ და „ვირტუალური საშუალებები“ ყველა ასეთ ფორმატს მოიცავს.

20. კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული რჩევა გაცემულია ამჟამინდელი COVID-19-ის პანდემიის სპეციფიკურ კონტექსტში და არ უნდა იქნეს აღქმული და გამოყენებული COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული თავისუფალი გადაადგილების და მასობრივი შეკრებების შეზღუდვის მოხსნის შემდეგ.

21. კომიტეტი შეახსენებს დაინტერესებულ მხარეს, რომ COVID-19-ის პანდემიის დროს, ნებისმიერი გადაცდომა კონვენციის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტიან მონაწილეობაზე, შეიძლება სადავო გახდეს საზოგადოების წევრების მიერ კონვენციის მე-9 მუხლის დებულებების შესაბამისად.

ა. ზოგადი ვალდებულებები

საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა - მე-6, მე-7 და მე-8 მუხლები

22. როგორც ამოსავალი წერტილი, კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს კონვენციის მე-6-მე-8 მუხლების ზოგად ვალდებულებას – თითოეულმა მხარემ უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი მხარეებს პირდაპირ უწესებს მოთხოვნას საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფის თაობაზე. იგივე მოთხოვნა მეორდება მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში და, ასევე, მე-7 მუხლში. მე-8 მუხლი ასევე ეხება საზოგადოების ეფექტიან მონაწილეობას. ამრიგად, საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფის ვალდებულება წარმოადგენს ფუნდამენტურ სტანდარტს, რომლის შესაბამისად უნდა შეფასდეს საზოგადოების მონაწილეობის კონვენციით გათვალისწინებული პროცედურის ყველა ასპექტი. როგორც მოცემულია ქვემოთ 23-69 პუნქტებში, იგი თანაბრად მოქმედებს საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებზე COVID-19-ის პანდემიის დროს.

ცხადი, გამჭვირვალე და თანამიმდევრული სტრუქტურა - მე-3 მუხლის პირველი პუნქტი

23. საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობა COVID-19-ის პანდემიის დროს კონკრეტული საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უნდა იყოს „თანამიმდევრული“ და შეესაბამებოდეს საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობებს ჩვეულებრივ დროში. ეს ნიშნავს, რომ შეიძლება საჭირო გახდეს საჯარო ხელისუფლების დამატებითი ძალისხმევა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პრაქტიკაში

საზოგადოება არ აღმოჩნდეს წაგებიან მდგომარეობაში.

24. მეტიც, იმის გამო, რომ შესაძლოა მეთოდები, რომელთა საშუალებითაც საზოგადოება შეძლებს COVID-19-ის პანდემიის დროს ჩართულობას, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს დაინტერესებულ მხარეში მოქმედი საზოგადოების მონაწილეობის ჩვეულებრივი პროცედურებისგან, საჭიროა დაინტერესებული საზოგადოების ადეკვატური და დროული ინფორმირება, იმისათვის რომ სტრუქტურა, რომლითაც საზოგადოებას შეუძლია პროცესში ჩართვა, იყოს ცხადი და გამჭვირვალე, როგორც ამას მოითხოვს მე-3 მუხლის პირველი პუნქტი. ადეკვატური და დროული ინფორმირება საზოგადოების ჩართულობაზე, განხილულია ქვემოთ მოცემულ 29-ე და 33-ე-37-ე პუნქტებში.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა - მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი

25. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თითოეული მხარე უნდა შეეცადოს, უზრუნველყოს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა და ოფიციალურმა პირებმა ხელი შეუწყონ საზოგადოებას და მისცენ მითითებები, კონვენციის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად. COVID-19-ის პანდემიის პერიოდში საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების განხორციელების ფონზე, კომიტეტი ხაზს უსვამს შემდეგ საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებით საყურადღებოა.

26. პირველი ნაბიჯის სახით, ვინაიდან შესაძლოა, იმ მეთოდების გამოყენება, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება დაინტერესებული მხარის მიერ საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, შეუძლებელი იყოს, უნდა შეფასდეს საჭიროებები ცალკეულ შემთხვევებში ან შესაბამისი სამართლებრივი სტრუქტურის შემუშავებისას, რათა დადგინდეს, COVID-19 პანდემიისას პრაქტიკაში რა ტიპის მეთოდები უზრუნველყოფს კონვენციის შესაბამისად საზოგადოების ეფექტიან მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საჭიროებების შეფასებამ უნდა გამოავლინოს საზოგადოების ჩართულობის ნებისმიერი ბარიერი ტექნოლოგიის, ენის, წიგნიერების ან შეზღუდული შესაძლებლობების კუთხით, აგრეთვე კონკრეტული დაბრკოლებები, რომლებსაც განიცდიან მარგინალიზებული ჯგუფები ან საზოგადოების ის წევრები, რომელთა მონაწილეობის შესაძლებლობები შესაძლოა შეიზღუდოს პანდემიის დროს მათი მოვალეობების გამო. აღნიშნული, ასევე, უნდა მოიცავდეს საზოგადოების იმ ნაწილის შეფასებას, რომელიც ასეთი ბარიერის წინაშე დგას. როგორც კარგი პრაქტიკა, საჭიროებების შეფასება უნდა მომზადდეს საზოგადოებასთან კონსულტაციის საფუძველზე.

27. როგორც კარგი პრაქტიკა, დაინტერესებულმა მხარემ მუდმივად უნდა შეაფასოს COVID-19-ის პანდემიის დროს კონვენციით გათვალისწინებულ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურებში გამოყენებული მეთოდების ეფექტიანობა, მათ შორის, საზოგადოების მხრიდან ამ საკითხზე მიღებული უკუკავშირის გზით. მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით, შესაძლოა, მომავალში საჭირო გახდეს მეთოდების ადაპტირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობების რეალური ეფექტიანობა პრაქტიკაში.

28. COVID-19-ის პანდემიის დროს საზოგადოების მონაწილეობის ნებისმიერმა ალტერნატიულმა მეთოდმა არ უნდა გამოიწვიოს დამატებითი ხარჯები იმ საზოგადოებისთვის, ვინც მონაწილეობას აპირებს. მაგალითად, ვირტუალური საჯარო მოსმენის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს უფასო ტელეფონის ნომრები, რათა ინტერნეტის გარეშე მყოფმა საზოგადოებამ მონაწილეობა ფინანსური დანახარჯის გარეშე შეძლოს.

29. ვინაიდან დაინტერესებული მხარის მიერ საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად

გამოყენებული მეთოდები განსხვავდება ჩვეულებრივ გამოყენებული მეთოდებისგან, ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა დამატებითი ძალისხმევა უნდა გაიღონ და მეტი დრო დაუთმონ დახმარების გაწევასა და სახელმძღვანელო მითითებების წარდგენას, რათა საზოგადოებას განუმარტონ, თუ როგორ შეუძლიათ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა COVID-19-ის პანდემიის დროს. ეს შეიძლება მოიცავდეს მომხმარებლისთვის მოსახერხებელი სახელმძღვანელო მითითებების მომზადებას იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია საზოგადოებას მონაწილეობა მიიღოს ასეთ პროცედურებში COVID-19-ის პანდემიის დროს.

30. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ტრენინგები და დამატებითი რესურსები საკუთარი ხელისუფლების ორგანოებისა და ოფიციალური პირებისათვის, რათა მოახერხონ მათი სათანადოდ აღჭურვა COVID-19-ის პანდემიის დროს კონვენციით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცედურებში საზოგადოების მონაწილეობის ხელშესაწყობად. სხვა საკითხებთან ერთად, ეს შეიძლება მოიცავდეს ოფიციალური პირებისთვის განკუთვნილ მარტივად გამოსაყენებელ სასწავლო სახელმძღვანელოებს, თუ როგორ უნდა შესრულდეს საზოგადოების მონაწილეობის კონვენციით გათვალისწინებული პროცედურები პანდემიის დროს.

არავითარი დასჯა, დევნა ან შევიწროება - მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი

31. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნა – თითოეულმა მხარემ უზრუნველყოს, რომ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებისას პირები არ იქნენ დასჯილნი, დევნილნი ან რაიმე ფორმით შევიწროებულნი მათი ჩართულობის გამო, თანაბრად ვრცელდება COVID-19-ის პანდემიის დროს და იმ პირებზე, რომლებიც საკუთარი უფლებების რეალიზებას ვირტუალური საშუალებების გამოყენებით ახდენენ.

არავითარი დისკრიმინაცია მოქალაქეობის, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილის ნიშნის მიხედვით - მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი

32. შემოთავაზებული საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რომელსაც პოტენციურად შეიძლება ჰქონდეს ტრანსსასაზღვრო გავლენა, კომიტეტი დაინტერესებულ მხარეს შეახსენებს, რომ COVID-19-ის პანდემიის დროს შესაძლოა საჭირო გახდეს სპეციალური ღონისძიებების გატარება იმ მიზნით, რომ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მიუხედავად მათი მოქალაქეობის, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა.

ბ. სპეციალური ვალდებულებები

ადეკვატური, დროული და ეფექტიანი შეტყობინება - მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი

შეტყობინების საშუალებები

33. კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, COVID-19-ის პანდემიის დროს, დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტიანად უნდა იყოს ინფორმირებული შემოთავაზებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ. საზოგადოების წევრებს შეიძლება მოეთხოვოთ საკუთარ სახლებში დარჩენა, ან შესაძლოა მათ თავად მიიღონ ეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ასეთ დროს, შესაძლოა არ იყოს ადეკვატური და ეფექტიანი მათი ინფორმირება მხოლოდ აღნიშნული საქმიანობის განხორციელების ადგილის სიახლოვეს ან საჯარო განცხადებების დაფებზე განთავსებული შეტყობინებების სახით, შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს შეტყობინების დამატებითი საშუალებები.

34. ამრიგად, საჭიროა შეტყობინების დამატებითი საშუალებების გამოყენება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დაინტერესებული საზოგადოების ადეკვატურად, დროულად და ეფექტიანად ინფორმირება. დაინტერესებული მხარის მიერ გამოყენებული შეტყობინების იმ საშუალებების გარდა, როგორცაა ინფორმაციის გავრცელება საქმიანობასთან პოტენციურად დაკავშირებულ სივრცეში ყველაზე მეტად წაკითხვადი გაზეთის საშუალებით, შესაბამისი საჯარო ხელისუფლების ვებგვერდების, რადიოს, ტელევიზიისა და სოციალური მედიის მეშვეობით, ზოგიერთ შემთხვევაში, ეფექტიანი შეტყობინების უზრუნველსაყოფად, შესაძლოა საჭირო გახდეს გადაწყვეტილების მიღებით დაინტერესებული ადგილობრივი მცხოვრებლებისა და სხვა პირების ინდივიდუალური ინფორმირება, მაგალითად, საფოსტო გზავნილის ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების (sms) გზით.

შეტყობინების შინაარსი, გათვალისწინებული პროცედურის ჩათვლით – მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი

35. ვინაიდან პროცედურა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს დაინტერესებული მხარის მიერ ჩვეულებრივ მდგომარეობაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფი პროცედურებისგან, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული სხვა მოთხოვნების გარდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება, რომ შეტყობინება მოიცავდეს მკაფიო ინფორმაციას გათვალისწინებული პროცედურის შესახებ, მათ შორის:

- ა) საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობები (მუხლი 6 (2) (დ) (ii));
- ბ) როდის და როგორ შეუძლია საზოგადოებას მონაწილეობა მიიღოს ვირტუალურ საჯარო მოსმენაში (მუხლი 6 (2) (დ) (iii));
- გ) როგორ შეუძლია საზოგადოებას, მიიღოს სათანადო ინფორმაცია (მუხლი 6 (2) (დ) (iv));
- დ) ხელისუფლების შესაბამისი ორგანო, რომელსაც წარედგინება კომენტარები ან შეკითხვები, მათი წარდგენის განრიგთან ერთად (მუხლი 6 (2) (დ) (v)).

36. შესაბამისად, ვირტუალური საჯარო მოსმენის პროცედურა უნდა გამოქვეყნდეს მოსმენის დაწყებამდე საკმარისად ადრე, რათა საზოგადოებამ შეძლოს სათანადო მომზადება და მონაწილეობა. ეს მოიცავს მოსმენის ფორმატს, დღის წესრიგსა და დაგეგმილ ვადებს. საზოგადოება წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული პროცედურის ნებისმიერი ცვლილების შესახებ და ნებისმიერი ასეთი ცვლილება მის მონაწილეობას არ უნდა უქმნიდეს დამატებით ბარიერებს³.

37. აღნიშნულის გარდა, ვირტუალური საჯარო მოსმენის შეტყობინება უნდა მოიცავდეს ყველა ბმულსა და ტელეფონის ნომერს, რომელიც დასჭირდება საზოგადოებას მოსმენის პროცესში ჩართვისთვის, ასევე იმ პირების საკონტაქტო მონაცემებს, ვისაც დაუკავშირდება საზოგადოება მოსმენის პროცესში ჩართვის დროს გამოვლენილი ტექნიკური პრობლემების შემთხვევაში.

გონივრული ვადები - მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი

38. ვინაიდან საზოგადოება ჩვეულებრივ ვერ მოემზადება და მიიღებს მონაწილეობას, საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის თითოეული ეტაპის სტანდარტული ვადები უნდა გახანგრძლივდეს, რათა საზოგადოებამ შეძლოს სათანადო მომზადება და მონაწილეობა. მაგალითად, შესაძლოა საჭირო გახდეს საზოგადოების მიერ კომენტარის მომზადების ვადის გახანგრძლივება, ვინაიდან საზოგადოების მიერ გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ყველა ინფორმაციაზე წვდომას შეიძლება ჩვეულებრივზე მეტი

³ იხილეთ გარემოსდაცვით საკითხებში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის ხელშეწყობის შესახებ მასტრიხტის 2015 წლის რეკომენდაციების (მასტრიხტის რეკომენდაციების) 118-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.unece.org/index.php?id=49142>

დრო დასჭირდეს.

ადრეული და ეფექტიანი მონაწილეობა - მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი

39. COVID-19-ის პანდემიის დროს გამოყენებული საზოგადოების მონაწილეობის ნებისმიერი ალტერნატიული ფორმა არ უნდა გამოიციხავდეს საზოგადოების ადრეულ მონაწილეობას, როდესაც ყველა ვარიანტი ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობა.

გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა სახის ინფორმაციაზე წვდომა - მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი

40. თუ COVID-19-ის პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების გამო, დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლებს არ ექნებათ შესაძლებლობა, ეწვიონ საჯარო დაწესებულებებს გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ინფორმაციის პირადად გამოსაკვლევად, აუცილებელი იქნება ალტერნატიული შესაძლებლობების დანერგვა საზოგადოებისთვის შესაბამისი ინფორმაციის შესწავლის უზრუნველსაყოფად.

41. ელექტრონული ინფორმაციის საშუალებების შესახებ კონვენციის 2005 წლის რეკომენდაციების 113-ე პუნქტის შესაბამისად⁴, კარგი იქნება, თუკი შეიქმნება მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ონლაინპორტალი, სადაც დაინტერესებულ საზოგადოებას მარტივად ექნება წვდომა ყველა შესაბამის ინფორმაციაზე.

42. ამასთან, თუ დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლები ვერ შეძლებენ, ეწვიონ საჯარო დაწესებულებებს გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ინფორმაციის შესასწავლად, მათთვის, ვისაც არ გააჩნია ინტერნეტზე წვდომა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მარტივი ხელმისაწვდომობა ამ ინფორმაციაზე. ეს შეიძლება მოიცავდეს ფოსტით საინფორმაციო პაკეტების გაგზავნას, რომლებიც უნდა შეიცავდეს ასეთი პირებისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას. მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამგვარი საინფორმაციო პაკეტებით უზრუნველყოფა უნდა მოხდეს უფასოდ. თუ შემდგომში ხელმისაწვდომი გახდება დამატებითი ინფორმაცია, ის ასევე უნდა გაეგზავნოს დაინტერესებული საზოგადოების ამ წარმომადგენლებს. არ უნდა შეილახოს დაინტერესებული საზოგადოების იმ წევრების უფლებები, ვისაც ტექნოლოგიაზე ხელი არ მიუწვდება. მეტიც, საჭიროა დამატებითი ძალისხმევა მათი ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

კომენტარების წარდგენის პროცედურები - მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი

წერილობითი კომენტარების შესაძლებლობა ყველა შემთხვევაში

43. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, წერილობითი კომენტარი წარადგინოს ყველა შემთხვევაში. ვირტუალური მოსმენის შემთხვევაში, ეს უნდა მოიცავდეს წერილობითი კომენტარის წარდგენის შესაძლებლობას ვირტუალური მოსმენის შემდეგ.

44. გადაწყვეტილების მიღების დროს, თანაბრად უნდა იქნეს გათვალისწინებული წერილობითი ფორმით წარდგენილი კომენტარები და ვირტუალური მოსმენის დროს გამოთქმული კომენტარები⁵.

⁴ ხელმისაწვდომია აქ: <https://www.unecf.org/index.php?id=21468>

⁵ იხილეთ ელექტრონული ინფორმაციის საშუალებების შესახებ კონვენციის 2005 წლის რეკომენდაციების მე-3 პუნქტი.

ვირტუალური მოსმენისთვის განკუთვნილი პროცედურები

თიბობა საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის

45. როგორც პირადი, ასევე, ვიდეოკონფერენციის გზით ან სხვა ვირტუალური საშუალებებით ჩატარებული მოსმენები უნდა იყოს ღია ყველა იმ პირისთვის, ვისაც სურს მონაწილეობის მიღება, და არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ მოწვეული ადამიანებით.

46. ასევე, პირადი შეხვედრით მოსმენების მსგავსად, თუ საზოგადოების დიდ ნაწილს სურს ვირტუალურ მოსმენაში მონაწილეობის მიღება, მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, შესაძლოა, ჩატარდეს ერთზე მეტი მოსმენა ან მოსმენა გაგრძელდეს ერთზე მეტ დღეს.

47. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, რომ ვირტუალურ მოსმენაზე რეგისტრაციის პროცედურა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ წარმოადგენდეს ბარიერს მონაწილეობისთვის (აღნიშნული მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც რეგისტრაციის ფორმა ხდება ბარიერი ენის ან წერა-კითხვის არცოდნის ან ტექნიკური უნარების არქონის გამო) და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მონაწილეებს, რომლებიც არ დარეგისტრირებულან მონაწილეობის მისაღებად, მაინც ჰქონდეთ სიტყვით გამოსვლის უფლება⁶.

მონაწილეობის ტექნიკური ბარიერები

48. ვირტუალურ მოსმენაში საზოგადოების მონაწილეობის ტექნიკური ბარიერები შეიძლება მოიცავდეს მაღალი ხარისხის ინტერნეტზე წვდომის არქონას ან ონლაინშეხვედრაში მონაწილეობისთვის საჭირო ტექნიკური უნარ-ჩვევების არქონას.

49. ორივე შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ალტერნატიული საშუალებები, რათა საზოგადოების წარმომადგენლებმა, რომელთაც არ აქვთ წვდომა ტექნოლოგიაზე ან არ გააჩნიათ სათანადო ტექნიკური უნარ-ჩვევები, მაინც შეძლონ ეფექტიანი მონაწილეობა.

50. პირველ რიგში, საზოგადოების წევრებს, რომლებსაც არ აქვთ ინტერნეტი ან აქვთ ტექნიკური სირთულეები, მაინც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ მოსმენაში უფასო ტელეფონის ნომერზე დარეკვის გზით, კერძოდ, მოუსმინონ პროცესებს, დასვან კითხვები და გააკეთონ განცხადებები.

51. მეორე, როგორც აღნიშნულია 43-ე პუნქტში, საზოგადოების ყველა წევრს უნდა ჰქონდეს წერილობითი კომენტარის წარდგენის უფლება.

52. თუ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს ინტერნეტი, მოსმენის გადაცემისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს ნაკლებტექნოლოგიური საშუალებები, რომლითაც საზოგადოება შეძლებს განცხადებების გაკეთებას და კითხვების დასმას. მაგალითად, შესაძლებელია, მოსმენა პირდაპირ ეთერში გადაიცეს ტელევიზიით ან რადიოთი. ამასთან, ვინაიდან რადიო და ტელევიზია საზოგადოების წარმომადგენლებს არ აძლევს დისტანციურად საუბრის შესაძლებლობას, ყველა შემთხვევაში საზოგადოების წევრებისთვის შესაძლებელი უნდა იყოს განცხადებების გაკეთება და კითხვების დასმა უფასო ტელეფონის ნომრით, ხოლო მათ მიერ, ვისაც აქვთ ინტერნეტი, ინტერნეტის საშუალებით.

53. COVID-19-ის პანდემიის დროს ქვეყნის მიერ დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შესაძლოა საზოგადოების რამდენიმე წევრმა ერთად მიიღოს მონაწილეობა მოსმენაში ერთი ადამიანის ინტერნეტის გამოყენებით. ამასთან, ვინაიდან საზოგადოების უმეტესობას შეიძლება არ ჰქონდეს ასეთი შესაძლებლობა, დაინტერესებულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ისეთი ნაკლებტექნოლოგიური

⁶ ასევე იხილეთ მასტრისტის რეკომენდაციების 121-ე პუნქტი.

საშუალებების არსებობა, როგორცაა უფასო ტელეფონის ნომერი, რათა ინტერნეტის არმქონე პირებმა შეძლონ ვირტუალურ მოსმენაში მონაწილეობა.

54. საჯარო მოსმენის მნიშვნელოვანი ნაწილია საზოგადოების მიერ კითხვების დასმისა და დაგეგმილი საქმიანობის განმხორციელებლის ან მხარდაჭერებისა და მათი ექსპერტების ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა. ვირტუალურ მოსმენაში ჩართვისა და ინტერნეტით ან ტელეფონით კითხვების დასმის შესაძლებლობის გარდა, საზოგადოების წევრებს, როგორც კარგი პრაქტიკის მაგალითი, უნდა მიეცეთ საშუალება, წარადგინონ წერილობითი შეკითხვები მოსმენის დაწყებამდე, ხოლო მოსმენის ორგანიზატორებმა უნდა დაუსვან ეს შეკითხვები შესაბამის პირებს უშუალოდ მოსმენის დროს. შემდგომში უნდა მოხდეს პასუხების ჩაწერა ნებისმიერ ასეთ კითხვაზე.

მონაწილეობის ენობრივი ბარიერები

55. რაც შეეხება ფიზიკურად ჩატარებულ მოსმენებს, მოთხოვნის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი თარგმანი, რათა უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა. ამ მიზნით, კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოქვეყნებულ შეტყობინებაში ვირტუალური მოსმენის თაობაზე, უნდა მიეთითოს ენა (ენები), რომელზეც ჩატარდება ვირტუალური მოსმენა და მოხდეს საზოგადოების ინფორმირება მოთხოვნის შემთხვევაში თარგმანით უზრუნველყოფის შესაძლებლობის შესახებ.

56. საზოგადოების იმ წევრებისთვის, რომლებიც ვერ საუბრობენ ან არ ესმით ის ენა, რომელზეც ჩატარდება ვირტუალური მოსმენა, შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს უფასო ტელეფონის ნომერი, რომლის საშუალებითაც მოხდება მათ ენაზე თარგმანი. ამ გზით მათ შეეძლება, საკუთარ ენაზე მოუსმინონ და, ამავდროულად, მონაწილეობა მიიღონ პროცესებში.

57. კარგი პრაქტიკის სახით, მოსმენის ჩანაწერები ან ოქმები მოსმენის დასრულებისთანავე ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამის ენებზე, რათა საზოგადოების წევრებმა შეძლონ მათი განხილვა წერილობითი კომენტარის წარდგენამდე.

მონაწილეობა ტრანსსასაზღვრო კონტექსტში

58. დაგეგმილი საქმიანობისთვის, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს პოტენციური ტრანსსასაზღვრო გავლენა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს COVID-19-ის პანდემიის ამჟამინდელი მდგომარეობა და ამ ტერიტორიებზე სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები. შესაძლოა, შემდგომში, დაინტერესებული მხარის საზოგადოების წარმომადგენლებს ისევ მიეცეთ საშუალება, პირადად მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა სხვა ქვეყანაში კვლავ მოქმედებდეს შეზღუდვები გადაადგილების თავისუფლებაზე და ამ საზოგადოებას მხოლოდ დისტანციურად შეეძლოს გადაწყვეტილების მიღების პროცედურაში მონაწილეობა. ასეთ ვითარებაში, დაინტერესებულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი დონისძიებების გატარება, რათა სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს მაინც შეეძლოთ ეფექტიანი მონაწილეობა. აღნიშნული შეესაბამება კონვენციის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნას და უზრუნველყოფს, რომ სხვა ქვეყნის წარმომადგენლები, დაინტერესებული მხარის საზოგადოების წარმომადგენლებთან შედარებით, არ მოექცნენ დისკრიმინირებულ მდგომარეობაში ნაკლებად ხელსაყრელი მოპყრობის გამო.

მოსმენის დროს არსებული ტექნიკური პრობლემები

59. საჯარო მოსმენის ორგანიზატორებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერა ვირტუალური მოსმენის გამართულად წარმართვის მიზნით.

60. ტექნიკური მხარდაჭერის პერსონალის საკონტაქტო ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს

ვირტუალური მოსმენის შესახებ შეტყობინებაში, ასევე ინსტრუქციებში სხვადასხვა საშუალების თაობაზე (მაგალითად, ვებგვერდის ბმული, უფასო ტელეფონის ნომრები და ა.შ.), რომელთა მეშვეობითაც საზოგადოება შეძლებს მოსმენაში ჩართვას.

61. იმ შემთხვევაში, თუ ვირტუალურ მოსმენაში ჩართვისას საზოგადოების წარმომადგენლებს შეექმნებათ ტექნიკური პრობლემები, მათ უნდა შეეძლოთ უფასო ტელეფონის ნომრის საშუალებით მონაწილეობა და წერილობითი კომენტარის წარდგენა.

62. თუ ვირტუალურ მოსმენას ახლავს მნიშვნელოვანი ტექნიკური პრობლემები, იგი უნდა გადაიდოს, სულ მცირე, სხდომის ის ნაწილი მაინც, რომლის გამართვაც ვერ მოხერხდა.

63. ვირტუალური მოსმენის ორგანიზატორებმა უნდა უზრუნველყონ მოსმენის დროს წარმომობილი ნებისმიერი ტექნიკური პრობლემის ჩაწერა.

საკმარისი დროის გამოყოფა ვირტუალური მოსმენისთვის

64. ტექნიკური პრობლემების რისკის გამო, ვირტუალური მოსმენისთვის უნდა გამოიყოს დამატებითი დრო, რათა უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი დრო საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობისთვის, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.

გამჭვირვალობა

65. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც ეხება კონვენციის განხორციელების გამჭვირვალე სტრუქტურას, საზოგადოებას უნდა შეეძლოს ინფორმაციის მიღება ყველა იმ პირის შესახებ, ვინც მონაწილეობს ვირტუალურ მოსმენაში და იცოდეს, ვის წარმოადგენენ ისინი. ეს მოიცავს დაგეგმილი საქმიანობის განმარტებების ან მხარდაჭერის წარმომადგენლების, ოფიციალური პირებისა და ორგანიზატორების ვინაობას, ასევე, მოსმენაში მონაწილე საზოგადოების სხვა წევრებისა და მათთან აფილირებული პირების ვინაობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

66. ამასთანავე, ვირტუალური მოსმენებისას უნდა მოხდეს კიდევ უფრო მკაცრი კონტროლი, ვიდრე ფიზიკური შეხვედრით მოსმენისას, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემოთავაზებული საქმიანობის ხელშეწყობით დაინტერესებული ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საზოგადოების წევრებისთვის თანხის გადახდა, რამე ფორმით დაჯილდოება ან ზეწოლა საქმიანობის მხარდაჭერის გამოსატვისათვის მოსმენის დროს⁷.

67. ვირტუალური მოსმენის ოქმი ან ჩანაწერი უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, რათა ყველა პირმა, ვინც ზეპირად წარადგინა კომენტარები, შეძლოს შემოწმება, რამდენად სწორად მოხდა ჩაწერა. კარგი პრაქტიკა იქნება, თუკი ვირტუალური მოსმენის დასრულებიდან მალევე, ოქმები და ჩანაწერები ელექტრონულად იქნება ხელმისაწვდომი იმავე პორტალის საშუალებით, სადაც შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით სხვა ინფორმაციის მოძიება⁸.

ჯეროვანი ყურადღების მიქცევა საზოგადოების მონაწილეობის შედეგებისთვის - მე-6 მუხლის მე-8 პუნქტი

68. საზოგადოების მონაწილეობის ყველა პროცედურაში, რომლებიც დადგენილია კონვენციის მე-6 და მე-

⁷ ასევე იხილეთ მასტრისის რეკომენდაციების 118-ე პუნქტი.

⁸ ასევე იხილეთ მასტრისის რეკომენდაციების 122-ე პუნქტი.

7 მუხლებით, საზოგადოებამ უნდა დაინახოს, თუ როგორ ხდება მათი კომენტარების გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალე და გადამოწმებადი მეთოდებით. ეს ვალდებულება თანაბრად ვრცელდება საზოგადოების მონაწილეობაზე ვირტუალური საშუალებებით.

შეტყობინება გადაწყვეტილების მიღების შემდეგ - მე-6 მუხლის მე-9 პუნქტი

69. კარგი პრაქტიკისთვის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირების მეთოდები, როგორც მინიმუმ, გამოყენებულ უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისთვის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ეს უკანასკნელი მოითხოვს არა მხოლოდ დაინტერესებული, არამედ ზოგადად საზოგადოების ინფორმირებას⁹.

4. დასკვნა

70. დაინტერესებული მხარის მიერ მოთხოვნილი რჩევის პასუხად, კომიტეტმა დაადგინა, რომ კონვენცია არ გამორიცხავს COVID-19-ის პანდემიის დროს კონვენციის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების შესახებ საჯარო მოსმენების ჩატარებას ვიდუოკონფერენციის გზით ან სხვა ვირტუალური საშუალებით, იმ პირობით, რომ პრაქტიკაში სრულად იქნება დაცული კონვენციის მოთხოვნები, მათ შორის ისინიც, რომლებიც აღნიშნულია ზემოთ 22-69 პუნქტებში.

⁹ იხილეთ ACCC/C/2013/99 (ესპანეთი), ECE/MP.PP/C.1/2017/17, 103-ე პუნქტი. ასევე იხილეთ მასტრიხტის რეკომენდაციების 139-ე პუნქტი.



დოკუმენტის არაოფიციალური თარგმანი შესრულებულია მწვანე ალტერნატივას, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისთან თანამშრომლობით, მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „ადვოკატირება მინერალური რესურსების გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვისთვის“.



© მწვანე ალტერნატივა, 2020

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74

GREENALT@GREENALT.ORG

WWW.GREENALT.ORG